# სასოფლო გაზეთი

მესამე წელიწადი

გამოდის შაბათობით

გაზეთის ფასი:

| გაგზავნით თფილისში და გარეშე ადგილებში: | | გაუგზავნელად: მან. |
|---|---|---|
| ერთის წლისა | — 4 მან. | — 3 |
| ნახევრის წლისა | — 3 — | — 2 |
| სამის თვისა | — 1 მ. 50 კ. | — 1 მ. |

ხელის-მოწერას მიიღებს:

თფილისის «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორა, დუბელირის (გ. წერეთლის და კამპ.) სტამბაში, სერგიევის ქუჩაზე, ხატისოვის სახლში.

თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи «СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ», при типографіи Дубелира (Г. Церетели и К°-.

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხების დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება თფილისში, დუბელირის (გ. წერეთლის და კამპ.) სტამბაში.

№ 16 შაბათი — III — 3 ოკტომბერი, 1870 წ.

რადგან «სასოფლო გაზეთის» ბეჭდვა გადმოვიდა მელიქოვის სტამბიდგან დუბელირის (გ. წერეთლისა და კამპ.) სტამბაში, ამისთვის უკანასკნელი ნომრების გამოცემა დაგვიანდა; მაგრამ ამიერიდგან ვეცდებით დაკლებული ნომრები მალე შევავსოთ. ამდროს შემდეგ «სასოფლო გაზეთი» გამოვა კვირაში ერთხელ შაბათობით.

შინაარსი:— რამდენიმე სიტყვა სალეწ მაშინებზე. — რუსეთის ოჯახობის და მეურნეობის ამბავი.— სიმენტალის გვარის პირუტყვი მოსკოვში — ჯამლისაგან ვნება მცენარისა.— ცხვრის ავათმყოფობის მიზეზი და იმათი შეტყობა.

## რამდენიმე სიტყვა სალეწი მაშინებზედ

პეტერბურღის სამანუფაქტურო გამოფენაში იყო გამოწყობილი სულ ხუთ ნაირი სალეწი მაშინა.

ამათ შორის ყველაზე უფრო მოსაწონი სალეწი ერთი რაეს უფლის სალეწი და მეორე უფლის იყო ევსევისა.

ზემოთ მოხსენებული რაეს სალეწი ისეთის სისრულით არის მომართული, რომ ერთის და იმავე დროს ლეწავს, ანიავებს და აგეთებს ხორბალს ასე, რომ წმინდა გაკეთებულს ხორბალს და ნამჯას იძლევა: ამას გარდა სალეწს აქვს ზედ მომართული მნის დასაკუწავი, რომლის შემწეობით, ლეწვის დროს გამოყავს ჩვეულებური ბზე.

თვითონ სალეწი არის საკმაოს ზომისა, ამის მოქმედებაში მოყვანა ანუ მუშაობა დამოკიდებული არის ოხშივარზე; ეს ორთქლით სალეწი ვინ არ იცის, რომ დიდათ სასარგებლოთ გამოდგება იმათთვის, ვინც ბევრს მიწას ხნავს და თესავს. მაგრამ ჩვენ საქართველოში, ამგვარი იარაღის შემძენება, ერთ პირს არ შეუძლიან, თუ არა რამდენსამე, რადგანაც თვით ფასის გარდა, რომელიც ღირს, 2700 მანეთამდის წაღებას მოუნდება კიდევ უზომო ხარჯი და საკუთარი მეხანიკიც უნდა დაუყენოს.

მეორე სალეწი, რომელიც აკვე ზემოთ მოვიხსენეთ უფალი ევსევის არის, მალიან სადა მომართულობისა. ეს სალეწი ღირს 140 მანეთათ, ამისი სატრიალებელი (приводъ) ღირს 200 მანეთათ. სალომოტრესი, რომელიც უმალ აშორებს სალეწიდგან ნამლევს გალეწილს მნის მარცვალს, ღირს 50 მანეთათ, აგრეთვე გასანიავებელი და იგივე პურის გასაკეთებელი 100 მანეთი, სულ სალეწი თავისი მომართულობით 550 მანეთათ.

ამასთანავე უნდა ვთქვათ, რომ თვით სალეწი თუმცა მალიან წმინდათ ლეწავს, მაგრამ, ბზე არ გამოჰყავს. ამის მიზეზით კიდევ იყიდება ჩალის საჭრელი, რომელიც ღირს 50 მანეთათ ამ უკანასკნელის იარაღით ეღირება 600 მანეთი, ამ ფასათ, რასაკვირველია, ღირს ამდენი იარაღები და იაფიც არის, მაგრამ წამოდება ამისი უკანასკნელი 300 მანეთიდგან 400 მანეთამდინ ეღირება. ეს უპირატესი მიზეზია, რომ ჩვენი საქართველოს მამულის მეპატრონეებს ემძიმებათ ამ გვარის იარაღების ხმარებაში შემოტანა და მართალიც არის, მინამ რკინის გზები არ გაიმართება ჩვენს ქვეყანას.

უფალი ევსევის ქარხანა იმყოფება ქალაქს მარშანსკს ტამბოვის გუბერნიაში. ამ ორის წლის განმავლობაში ამის სალეწები ისეთ ხმარებაში არიან მთლათ ამ გუბერნიაში, რომ თითქმის კეთებას ვერ ასდის; ჩვენც ვიყიდეთ ამისთანა სალეწი და სალომოტრესი იმ განზრახვით, რომ ადგილობრივ ვამუშავოთ წყლით და არა პრივოდით ცხენებით, როგორც აქ ვნახეთ.

რადგანაც წყლით უფრო თანასწორ იტრიალებს და უფრო სართავაც იქნება ბევრით, ვიდრე საქონელით. ამ მიზეზისა გამო მალე დატანებული ვიყავ მოსულიყავ პეტერბურღიდგან საკუთრათ ქ. მარშანსკის შეკვეთილი სალეწი მამელო და მენახა ხმარებაში,—მუშაობაში, როდესაც ვნახე, უფრო კიდევ მომეწონა და თვით სალეწის ხმარებას მალიან მალე და დაუბრკოლებლად მივხვდი. იმედი მაქვს, რომ ჩემგან მოპოვებული სალეწი სწორეთ გამოსადეგი იქნება და მასთან სასარგებლო საერთოთ მთლათ, ჩვენი მამულის მეპატრონეთათვის, ამით უფრო, რომ მათ არ დასჭირდება, ამოდენის მანძილიდგან მისი გამოწერა, რადგანაც, ჩვენი საქართველოს ხელოსნები მალიან ადვილათ გააკეთებენ ადგილობრივ—ამ გვარს სალეწს,

რომელიც ბევრით იაფათ ედირება ამ სახით გაკეთება,ვიდრე აქ ადგილობრივ, მეტადრე იმ მებატონეთათვის, რომელთაც, საკუთარი ხე-ტყე აქვთ და მასალას თავიანთის შინაურის დონისძიებით მოამზადებენ.

თავის დროზედ ამ სალეწის ნახვა მსურველთ შეუძლიანთ და ამის დირსებაზედ დარწმუნება ქართლში სოფელს ტირძნის.

ი. სულხანოვი.

20 აგვისტო 1870 წელს.
ქ. მარშანსკი,
(ტამბოვის გუბერნია)

## რუსეთის ოჯახობის და მეურნეობის ამბავი.

რუსეთშა ოჯახობა უკან-და-უკან მიდისო. ამბობს ერთი რუსის მეოჯახე —და ამ შემთხვევაში ისევ ჩვენვე უნდა ვიზრუნოთ ამ საქმისათვის, თორემ სხვებს რა დარდი აქვს.

* * *

პირველი ოჯახობის დამხობი მიზეზი ის არის, რომ მუშა კაცი მალიან გაძვირდა. ამაში თვითონ რუსეთის მეოჯახეები არიან დამნაშავე, ასე რომ ზომაზე მეტი მუშა უნდებათ. ამისთვის შეიქმნა მეოჯახეებში ქიშპობა მუშების შოვნაზე და ამან მუშის ფასი მალიან აწია. ტყულათ კი არ არის ნათქვამი, როგორც გიჭირდეს, ისე გიდირდესო.

* * *

მეორე მიზეზი მუშების შეუძლებლობა და მეოჯახის მოუხერხებლობაა; თუ წინდაწინ მიეცი ფული, მუშები აღარ მოვლენ, სამიოთხი დღის სავალზე გაპქრებიან და წადი ეძებე, თუ არ მიეცი, კიდევ უარესია; ამისათვის რომ ყველას ბევრი სამუშაო აქვს, ყველა წინდაწინ იჭერს მუშას და შემდეგ კი მუშები თან-და-თან უმატებენ ფასს, რადგან იციან, რომ იმათ გარდა გზა არა აქვს მამულის მეპატრონეებს.

* * *

მესამე მიზეზი აუარებელი დღესასწაულებია. ზოგი კვირე გამოერევა, რომ სამი დღესასწაული შეხვდეს. თუმცა ეკკლესიისგან არ არის დაწესებული, მაგრამ ხალხს ერთხელვე უდღესასწაულებია და ჩვეულებას არ უნდა, რომ გადახდეს. ამასაით დღესასწაულებში სულ სმენ და საქმის დღეში სიმთვრალიდგან გამოფხიზლებას უნდებიან. რას იზამ, ნუ იდღესასწაულებო, არ შეგიძლიან უთხრა და ამით არის ოჯახობის საქმე მალიან გამცდარი.

* * *

**მეოთხე მიზეზი პასუხის უგებლობაა და ზარალის გადაუხდელობა მუშებისაგან.** ზოგჯერ მოხდება ხოლმე რომ ოცი-ოცდაოცი კაცი მოვა ერთად, შეურიგდება მებატონეს მუშაობაში, წინდაწინ აიღებენ ფულებს და გაიპარებიან. მიჰყევი და ეძებე. რუსეთის თვალ გადუწვდენელს მინდვრებზე ათას ვერსს გაივლიან და მესამე გუბერნიაში დაიწყებენ მუშაობას. ახლა უნდა გამოუდგე იმათ საჩივარს და იქნება მლივს ერთი წლის შემდეგ ფულები დაგიბრუნონ. რაც ზარალი მოუცია, იმას ვინღა იკითხავს, ან ვინ მოგცემს.

* * *

საზოგადოთ რომ ვთქვათ, რუსეთის მამულის მეპატრონების ოჯახობა, თუ საღათო საქმე გახდა, მალიან გაჭირებაში არიან მუშების უწესოებისგამო, მთვრალობისა, უზდელობისა, უპატიურებისა ამაყობისა და თავის მოვალეობის აუსრულებლობისგამო.

თვითონ მამულის პატრონი მოჩივარი ერთად-ერთი, უმოწმოთ, მიუჩვეველს ალაგას; მუშები ყველანი მოპასუხენი არიან და ყველას ერთის მხარე უჭირავს. მოდი და უჩივლე!... ყოველთვის ხომ ორ კაცს ვერ დაიქირავებს მეოჯახე მხოლოდ იმისთვის რომ მოწმებათ იყონ, მუშებსა და მამულის მეპატრონეს შუა, თუ რამ უწესოება მოხდა. ამოსთანა მდგომარეობაში აბა რა უნდა ჰქნას კაცმა?

* * *

ცხადია, რომ ოჯახობა ცუდ მდგომარეობაშია ჩავარდნილი განა იმისთვის კი არა, რომ რუსის მეოჯახეებს არ შეუძლიანთ ქიმიურათ განაყოფიერონ მიწა სხვა და სხვა შეზავებული სასუქით, რომელიც რუსეთში სიძვირისაგამო მოუხერხებელია; არა. ოჯახობის დაცემის მიზეზი ზემოხსენებული გარემოებაა. ამისთანა მდგომარეობაში რაც უნდა ბევრი დაახარჯო მიწას, მაინც არა ეშველება, სულ ყოველთვის მოგების მაგიერათ ხარჯის მეტი არა გამოვა.

* * *

რაც რამე გვქონდა სულ მიწის მუშაობას დავახარჯეთო, ამბობს იგივე რუსის მებატონე—და რომ არა გაგვივიდარა! ახლა ერთად ერთი საშუალებაღა უნდა მოვიხმაროთ—მივსცეთ მიწები სადალოთ; მაგრამ აქაც ერთმანეთის ქიშპობამ დაგვაქცია; ყველას გვინდა ბევრი მიწები გასცეთ რიგიან დალათი. მიწის მძლეველი ერთბაშათ ბევრნი გამოჩნდით და ამისგამო დალას თან-და-თან აკლდება ერთი სიტყვით რაც დრო მოდის, უარო და უარო ვიღუპებით მებატონეები. ამ შემთხვევაში ჩვენი მეცადინეობა მხოლოდ იმას უნდა შეიცავდეს, რომ როგორმე დალის ფასი ერთ დონაზე დადგეს და აღარ დაისწიოს.

რადგან მთავრობამ სამეურნეო შეერთობის ნება მისცა რუსეთის მემამულეებს, ამ ყრილობებში რასაკვირველია გულს მოდგინებით მოილაპარაკებენ ამ საგანზე.

---

## სიმენტალის ჯიშის პირუტყვი მოსკოვში.

რუსეთში სამუშაო მიწა საზოგადოთ ბევრათ უფრო მწირია ჩვენს ადგილებზე და ამისთვის იქ თითქმის ყველგან აპატივებენ მიწას, მაგრამ რადგან სხვა და სხვა ნაკეთები სასუქი, რომელსაც სახლავარს გარეთ აზადებენ მალიან ძვირათ ჯდება, ისინი საქონლიდგან დაყრილს შინაურს სასუქს ხმარობენ. უწინ რუსეთში საქონელს აბამდენ შინ მხოლოდ სასუქის მღებისათვის. რასაკვირველია ამისთანა საქონელი სარგებელს არას მისცემდა თავის მეპატრონეს.

* * *

პირუტყვის საჩეხებს და ფარეხებს ამლევდენ მწყემსებს და იმათ ყოველი პირუტყვიდგან წელიწადში ერთი გირვანქა ერბო უნდა ემლიათ და თუ მროხა ბერწი არ იყო, ხბოს გაეზარდათ. ახლანდელს დროს ეს წესი გამოსადეგი არ არის; ამჟამად, როცა კაცი უქირაოთ აღარ მუშაობს, მიეცილებლათ საჭიროა, რომ ჯოგმა იმდენი სარგებლობა ამლიოს, რაც იმის შენახვაზე იხარჯება წე

ლიწადში სარგებელი იმ თავნზე, რომელიც დახარჯავთ პირუტყვის გაშენების დროს. ამასადამე საჭიროა პირუტყვის მოვლა იმ წესით, როგორც მეცნიერების კანონები ითხოვს და ყველაზე უფრო დიდი საქმე ის არის, რომ კარგათ ასაზრდოვონ პირუტყვი, მაგრამ თუ კარგათ კვებავ, უსათუოთ ისეთი კარგი გვარის საქონელიც უნდა გააშენონ, რომ იმაზე დანახარჯი უკანვე სარგებლით გამოუბრუნოს მეპატრონეს, თორემ იმისთანა საქონელი, რომელიც აქამდის ჰყავდათ, მართლათ მოგახსენოთ, კარგ მოვლათ არც კი ღირს.

* * *

ამ მოსაზრებამ აფიქრებინა სახელგანთქმულს რუსეთის მეოჯახეს დანკოვის მებატონეს ცნობილს ბაბინს რუსეთში საქონლის მოშენების გაუმჯობესობა; ბევრი შრომა გასწია ამ დიდ საქმის აღსრულებისთვის ცნობილმა, მაგრამ ბევრი ვერა გაარიგარა თავის სიცოცხლეში. მაგალითად იმან წარუდგინა რუსეთის პირუტყვის მაშენებელს საზოგადოებას კარგად დამუშავებული თავისი აზრი ამ საგანზე. იქ პატაკისცემით მიიღეს იმისი აზრი და ცალკე სხდომაში სწავლულ მეოჯახეებმა რიგ ანათ შეიმუშავეს. იმათ დანიშნეს მაჩრები, სადაც უნდა დაეწყოთ საქონლის გაობისობა სხვა და სხვა ევროპის ჯიშის საქონლებს სხვა და სხვა თავის შესაფერი ჰავის ადგილები გამოურჩიეს საცხოვრებლათ და სხვ. თვითონ ბაბინს მოსწონდა იმათი მუშაობა; მაგრამ იმ დროს ცალკე ფული არ იყო ნაშოვნი ამ მგვარი ფასი საქმისთვის და სამწუხაროთ ზემოხსენებული გეგმების მუშაობა უნაყოფოთ დარჩა.

* * *

ამჟამად უფ. ჩულკოვმა ითავა მოსკოვში საქონლის ფერმის გაწყობა, სადაც მხოლოდ ერთი გვარის საქონელი უნდა იყოს საშენებელი და ამით დაადგვირგვინა თავისი მოძღვრის აზრი. ამ ფერმის საშუალებით შეიძლება, რომ მოსკოვის გუბერნიის საქონელს მთლათ ერთი ჯიშის თვისება მიეცესო; ამას იმ მიზეზით ჰფიქრობდა ჩულკოვი, რომ მოსკოვის გუბერნიის მებატონეები კარგი მოდგმის ხბოებს კი არ ჰყიდიან საკლავათ, არამედ ჯიშის გასაკეთებლათ სტოვებენო; და ეს ხბორები კიდევ უფრო გაამრავლებენ ჯოგში უცხო ქვეყნის ჯიშის საქონლის თვისებას.

* * *

ბაბინის აზრით მოსკოვი შუაგული ადგილი იყო მთელი რუსეთისათვის. ყოველ ადგილს ჯოგის გაუმჯობესობა იქიდგან უფრო მოსახერხებელი იყო. მოსკოვში ითვლება ოცდაათი ათასი მროხა, მაშასადამე ყოველ წლობით შეეძლო ამ ქალაქს გაეგზავნა ყოველ მხრივ სხვა და სხვა გუბერნიებში ბევრი საუკეთესო ჯიშის ხბორები, რომელნიც მიუცილებლათ გააუმჯობესებდენ ადგილობრივს საქონლის ჯოგებს. თუმცა ბაბინს ძალიან მოსწონდა, რომ მოსკოვში გაშენებულ იყო საუკეთესო ჯიშის საქონლის ჯოგი და ამისთვის ფერმა გაემართათ იქ, მაგრამ რადგან ბევრი დაბრკოლება გამოეცადნა ცხოვრებაში, არ სჯეროდა, რომ შესაძლო ყოფილიყო ამ აზრის აღსრულება. იმისმა მოაზრემ და კვალში მიმყოლმა ჩულკოვმა უფრო მოხერხებულათ მოიქცა ამ შემთხვევაში და კიდეც აასრულა ზემოხსენებული აზრი. ის ეძებდა შემთხვევას, რომ იმათ ესარგებლებინა და ბედათ ეს შემთხვევაც მალე აღმოჩნდა.

* * *

დანკოვის საზოგადოებამ საქონლის მოყვარულთა წარსულის წლის პირველს იანვარს გადასწყვიტა, რომ ყველაზე უფრო კარგი ჯიშის საქონელი რუსეთისთვის სიმენტალის გვარია და ის უნდა გავაშენოთ მოსკოვის ფერმაშიო. თუმცა ცალკე მემამულებისგან დაბარება კარგი ჯიშის საქონლისა დიდს სარგებლობას მისცემს მთელს ქვეყანას, მაგრამ უფრო მაგრათ რომ გაიდგას ძირი კარგი ჯიშის პირუტყვმა რუსეთში, საჭიროა, მთელი ჯოგის გაშენება საუკეთესო მოდგმის პირუტყვებით სახელდობ მოსკოვში.

* * *

ფერმა გაიმართა იქ, აი, ამ განზრახვით: რომ წმინდა სისხლის კარგი მოდგმის ბუღები გაიზარდოს; 2 იყოს ისეთი ადგილი საც შეიძლებოდეს ყოველ მხრიდგან მროხების მოყვანა კარგი ჯიშის ბუღით დასამაკებლათ, 3 და საყველე გაიმართოს, რომელიც უეჭველათ დიდს სარგებლობას მოიტანს. ამისთანა ფერმის გამართვა მოსკოვში ძალიან ადვილი საქმე იყო, თუ რომ რამდენიმე შეძლებული პირები განიზრახავდენ ამხანაგობის შედგენას. ოცს კაცს რომ ოც-ოცდა ათი თუმანი გამოეღო, საკმაო იქნებოდა. მართლაც ჩულკოვის თაოსნობით ეს ამხანაგობა ძალიან ადვილათ შედგა და საჭირო ფულიც მოგროვდა.

* * *

საზღვარს გარეთიდგან დაბარებული სიმმენტალის ჯიშის ჯოგი მოუვიდათ ამ წლის თებერვალს: ხუთი მროხა თავის ხბორებით, და ორი ბუღა. სიმმენტალის ჯიშის საქონელი დიდია, ძალიან სუქდება, ლამაზი მოყვანილობის არის და ამას გარდა ბევრ რძეს აძლევს. ზოგიერთს ეგონა, რომ სიმენტალის ჯიშის საქონელი ბევრს არ იწველისო, მაგრამ ეს იქ იყო შენიშნული, საცა ცუდათ უვლიდენ საქონელს.

ხუთი ან ათი გირვანქა თივა რომ ზომაზე მომეტებული მისცე ხოლმე, საქონელი დაიწყებს გასუქებას და მაშინ რძეს აკლებს. ცოტა რომ მოუკლო საკვებს, წველას მაშინვე უმატებს.

* * *

ზემოხსენებული ჯიშის ჯოგი რომ მაგარი აგებულების არის, ამას ისიც ამტკიცებს, რომ საზღვარს გარეთიდგან პეტერბურგს მოვიდა იმ დროს, როცა იქ ისე ციოდა, რომ ნაფურთხს ჰყინავდა, სანამ მიწაზე დავარდებოდა. მაგრამ ჯოგს მაინც არა-ვნებია. პეტერბურგში ორ მროხას თურმეც დაემართა და ძალიან გალახულები მოიყვანეს მოსკოვს, და გასუქდენ კიდეც.

ხორცის მალე შემატება საქონლის კარგი ღირსებაა და მეოჯახე განსაკუთრებით მაშინ დააფასებს, როცა მროხას გაყიდვა მოუნდება საკლავათ, ან იმისგამო რომ წველას აკლებს და ან ყოველ წლობით ბერწდება.

* * *

ავიღოთ მაგალითად შესანიშნავი მეწველი ჯიშის მროხები: ხოლმოგორული და ჰოლანდიური. როცა მეოჯახე მოისურვებს იმათ გასუქებას, ორი თვე უნდა ეწველოს და ძალიან

კარგათ ჭკვებოს, მაგრამ ორმოც ფუთზე მეტს მაინც არ აიწონის. სიმმენტალის მოდგმის პირუტყვი გასუქებულათ იწონის ორმოც ფუთსა. რაიცა შეეხება მეწველობას, პირველმა სიმენტალის გვარის ძროხამ ოთხი თვის განმავლობაში მოიწველა ას რვა ვედრა რძე, მეორემ ას თუნგზე მეტი,—მესამემ ას ოცდა თორმეტი ვედრა.

* * *

ამ ახლით მოსკოვის ფერმაზე გაშენებული ჯოგი სწორეთ საუკეთესო ჯიშისაა, როგორც მეწველობით, ისე ბევრი ხორცის მლევით და მაგარი აგებულობით. ეჭვი არ არის მალე გამოჩნდება დიდი სარგებლობა რუსეთში ამ ჯიშის საქონლის გაშენებით.

---

### კომლისაგან ვნება მცენარისა.

„სასოფლო გაზეთის" წინა ნომერში იყო მოყვანილი მაგალითები, თუ რამდენათ ავნებს კომლი ზოგიერთს მცენარეს. მაგრამ იქ იყო ამასთანავე ახსნილი, რომ ვითომც კომლს როგორც კაცს მცენარესაც იმგვარათ ახრჩობდეს, უვავილებს აჭნობდეს. უფ. ბატალინი გამოჩენილი რუსის მეოჯახე და ამასთან მეცნიერი კაციც ამბობს, რომ საეჭვოა კომლს რომ მცენარის უვავილზე ისეთივე მოქმედება ჰქონდეს, როგორც ცხოველზედ; შეიძლება ამგვარი მოქმედება მართალიც იყოსო, მაგრამ ერთი და ორი მაგალითით კიდევ არ დამტკიცდება ამისთანა შენიშვნაო, ამგვარათ წარმოთქმული აზრის დამტკიცებას ბევრი სამეცნიერო საბუთები დასჭირდებაო.

* * *

თუმცა იმას ვერ ვიტყვით, ამბობს ბატალინი, რომ კომლი ახრჩობდეს და ჰკლავდეს მცენარის უვავილს, მაგრამ ამაზე კი დარწმუნებული ვარო, რომ კომლი მართლაც ზოგიერთ მცენარეს სწყენს. ამ აზრის დასამტკიცებლათ იმას სულ სხვა საბუთები მოჰყავს.

* * *

ბევრი ისეთი მცენარეა, რომელნიც მხოლოდ დედალ უვავილებს ისხამს და სხვანი მამალ უვავილს, დედალს უვავილს თუ მამლის თესლი არ მოხვდა, ისე ნაყოფს არ გამოიღებს. ამ შემთხვევაში ბუზების ფუტკრებს და პეპლებს დიდი სარგებლობა მოაქვთ. ისინი დაფრინავენ უვავილებში ერთი მცენარიდგან მეორე მცენარეზე, იჯდებიან ტანზე, ფეხებზე მამლის თესლს და გადააქვთ დედალ უვავილზე, სადაც სტოვებენ ამ თესლს და ანაყოფიერებენ დედალს უვავილებს. ახლა წარმოიდგინოთ, რომ იმ ყანების მახლობლათ, სადაც დედალ მამალი მოდგმის ხორბალი თესია, ტყეს, ან ბალახს სწვენ და კომლი ქვეინება ყანებში. ეჭვი არ არის, რომ ეს კომლი გააწყობს და ფანტავს ფუტკრებს და პეპლებს, რომელნიც სწოვენ უვავილის წვენსა მაშასადამე იმათი შეწევნით ვედარც დედალი უვავილება განაყოფიერდებიან და ცოტა ხანს შემდეგ ისინი დაჭნებიან და მირს ჩამოსცვივიან.

* * *

აქედგან ცხადათ სჩანს, რომ თუ კომლი ზოგიერთს მცენარეს ზარალს აძლევსო, ეს იმითი კი არ აიხსნება, რომ უვავილებს ახრჩობდეს, არამედ, იმითი რომ ბუზებს და პეპლებს აქრობს, ურომლებოთ ისინი ვერ განაყოფიერდებიან. ეს აზრი კიდევ შემდეგის მაგალითით უფრო მტკიცდება.

* * *

არის ორგვარი მცენარე ერთი და იგივე შთამომავლობისა. ერთს ემახიან რუსულ გრეჩიხას და მეორეს თათრულს. რუსულ გრეჩიხას დედალი უვავილები და მამალი სხვა და სხვა ძირზე აბია. თათრულს კი დედალ-მამალი თესლი ერთი ძირის უვავილზე აქვს. მაშ აქ ბუზის დახმარება საჭირო არ იქნება: მამლის თესლი დედალს თვითონვე დაეცემა და გაანაყოფიერებს. რუსულ გრეჩიხას კი ეგრე არ მოსდის. იქ თუ ფუტკარმა არ გადიტანა თესლი მამლის ძირიდგან დედალ უვავილზე, არ განაყოფიერდება. ამისთვის როდესაც წვიმიანი წელიწადი დადგება რუსულ გრეჩიხას, ან სულ არ მოაქვს ნაყოფი და ან თუ მოაქვს, მალიან ცოტა და გამოფიტებული. ეს პირდაპირ იმითი აიხსნება, რომ წვიმიანი ამინდებში ბუზები გარეთ ვერ გამოდიან და მომეტებული ნაწილი წყდება. თათრულს გრეჩიხას კი წვიმიანი ამინდი ვერას აკლებს, რადგან უბუზებოთაც შეიძლება განაყოფიერდეს იმის უვავილი.

### ცხვრის ავათმყოფობის მიზეზები და იმათი შეტყობა.

რამდენათაც უფრო ვრცელდება ცხვრების გაშენება, მით უფრო ცხადათ ხედვენ კარგი ჯიშის ცხვრის მაშენებელნი იმისგან სარგებლობას. სამწუხაროთ ცხვრებს და ნაზს მერინოსებს ადვილათ უჩნდება ავათმყოფობა და იმდენათ წყდებიან, რომ ცხვრის მაშენებლებს ხშირათ დიდი ზარალი ეძლევათ.

მასაქეთ, რაც უბრალო ცხვრებს მატყლი გაუკეთდათ მერინოსების დართვით, ისინიც უფრო ნაზები გახდენ და ადვილათ ემართებათ ავათმყოფობა. ნაზი აგებულების გამო ბევრი ავათმყოფობანი ისე შეეჩვიენ ცხვრებსა, რომ თითქოს მემკვიდრეობით აღარ სცილდებიან და უოველ წლობით მრავალი იხოცება დიდ ფარეხებში. საზოგადოთ ცხვრები ყველა პირუტყვებზე უფრო ნაზი აგებულებისანი არიან, ამისთვის რომ იმათი ძალა სულ მატყლის გამოცემაში იკარგება. ამისგამო ძარღვები და სისხლის ტრიალი ტანში ძალიან უსუსტდება და სხვა შინაურს პირუტყვს რომ არა გაუჭირდებარა ნოტიობით და ბალახის გამოცვლით, ცხვრებს კი ეს გაუჩენს მრავალ გვარ ავათმყოფობას. ამისგამო ცხვრებს განსაკუთრებით ემართება გადამდები ავათმყოფობა, სისხლი უთხელდება, პეპელი და განსაკუთრებით სხვა და სხვა კანის ავათმყოფობანი უჩნდებიან, რომელნიც წამხდარი სისხლისაგან წარმოსდგება.

* * *

ჩვენში მაგალითად, სადაც ცხვრებს გაუმჯობესობა არ ეტყობა და თითქმის მთელი წელიწადი გარეთ არიან, ისე შეჩვეულნი არიან სიცხე სიცივესა, რომ ჭავის გამოცვლით არა დაეტყობათრა. იქ, სადაც ყურს არ უგდებენ ცხვრებს და დიდხანს ჰყავთ ფარეხებში დამწყვდეული, უცბათ საზრდოს გამოცვლით და უხომოთ მოვლებისაგან ცხვრებს გაუჩნდება ბევრგვარი ავათმყოფობანი. თუ გსურს შეიტყო, რა ავათმყოფობა დამართნია ცხვრებს, უნდა მიაქციო ყურადღება წმინდა მატყლიანს და უბრალო ცხვრებს, ამიტომ რომ ბევრი ავათმყოფობა იმისთანაა, რომელიც წმინდა მატყლიანს ცხვარს ემართება და უბრალო ცხვარს არა. ისინი უბრალო ცხვრებსავით ვერ აიტანენ უეცრათ ჭავის და საზრდოს გამოცვლას.

(დანარჩენი შემდეგში იქნება).

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Октября, 1870 г. დუბელირის (გ. წერეთლის და კამპ.) სტამბაში. რედ. და გამომცემელი გ. წერეთელი.